



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა
--------------------------------------	--

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Master of Public Health
---	-------------------------

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
---	--------------

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	არარეგულირებადი
--------------------------------	-----------------

სწავლების ენა	ქართული
---------------	---------

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0904
---------------------------------	------

ქართულად:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
-----------	-----------------------------------

ინგლისურად:	Master of Public Health
-------------	-------------------------

პროგრამის დამტკიცების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2011 წლის 16 მაისის #01/05-105 ბრძანებით
------------------------------	--

პროგრამის განახლების თარიღი	განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 17 სექტემბრის #01/01-16 ბრძანებით
-----------------------------	--

პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი - ლაშა ლორია
--	---

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 ECTS
-------------------------------	----------

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 33/27/30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 2 წელს.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრი, მოიცავს 20 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის 8 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი. (ანუ ჯამში წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტისა)

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს

(ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, კვლევითი პრაქტიკა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს სავალდებულო (64 კრედიტი) და არჩევითი სასწავლო კურსების სახით (20 კრედიტი შეთავაზებული 55 კრედიტიდან), კვლევით კომპონენტს (30 კრედიტი) და პრაქტიკულ კომპონენტს - (6 კრედიტი).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე მაგისტრანტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრი) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით. სასწავლო გეგმასთან მიმართებაში სავალდებულო საგნების ხვედრითი წილი არის 80% ხოლო არჩევითი საგნების ხვედრითი წილი არის 20 %.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით და გაივლის შიდა გასაუბრებას, ასევე პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელია ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს დიპლომის დანართით ან წარმოდგენილი ენის სერტიფიკატით (IELTS – 6.5 ქულა, TOEFL – 90 ქულა), ან შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით.

მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, თანამედროვე მიდგომების და ღირებულებების დანერგვა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციების, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემაში არსებული თანამედროვე საჭიროებების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მომზადება აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდებით.</p> <p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სიღრმისეულ, თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, განუვითარდეთ ამ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის განახლებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია საქართველოს ძირითადი დემოგრაფიული და სოციალური მიმართულებების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ინსტიტუტების ორგანიზების, დაფინანსების, მარკეტინგის და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის მიწოდებაზე, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების საჭიროების შეფასებაზე, ჯანდაცვის სექტორში კვლევის დაგეგმვასა და გამოყენებაზე, რათა კურსდამთავრებულებმა სისტემაში ჩართვის შემდეგ გააუმჯობესონ როგორც მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, ისე მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეფექტური პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ინსტიტუტების შესაბამისი ორგანიზაციითა და მართვით.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>პროგრამის კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებული სრულყოფილად ფლობს ცოდნას და უნარებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სპექტრის პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, მართვისა და განხორციელებისთვის, იცის გლობალური ჯანდაცვის ტენდენციები და ფლობს ცოდნას ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის შესახებ. ასევე კარგად ერკვევა ჯანდაცვის სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში. იცის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის ძირითადი მეთოდები. -</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება</p> <p><i>კურსდამთავრებულს ექნება:</i> ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი ; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციის და სამედიცინო დაწესებულებების</p>

წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენის, და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება;
ცვლილებების მართვის უნარი;

კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჯანდაცვის ორგანიზაციების მართვისას საჭირო გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

დასკვნის უნარი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციების შესახებ რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს შესახებ უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

საზოგადოებრივ ჯანდაცვის სფეროში სოციალური კვლევის მეცნიერული საფუძვლების გამოყენებით მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხების შესახებ დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;

გადაწყვეტილების მიღებისას რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ძირითადი მეთოდების გამოყენების უნარი.

კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი,

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში არსებული სამეცნიერო კვლევებისა და რეკომენდაციების ადექვატურად და ეფექტურად დანერგვის უნარი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ისტორიისა და განვითარების ცოდნის გამოყენებით მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის ანალიზისა, სხვადასხვა ინდიკატორების გამოთვლისა და ანალიზის უნარი;

პრობლემის ანალიზისთვის შესაბამისი რაოდენობრივი მეთოდის შერჩევის უნარი.

კომუნიკაციის უნარი:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების შესახებ დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ინფორმაციის სრულყოფილი გადაცემა: ინფორმირება, საკითხის ნათელყოფა, რეკლამირება, მოთხოვნა, თანამშრომლობა სხვადასხვა ენაზე;

სტატისტიკური, დემოგრაფიული, პროგრამული და სამეცნიერო ინფორმაციის ზუსტად და ეფექტურად წარდგენის უნარი ფართო აუდიტორიისათვის;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე პროფესიონალურად ხარისხიანი ანალიზის წერა მტკიცებულებებისა და ციტირებათა სათანადო გამოყენების მეშვეობით.

სწავლის უნარი:

სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა,

სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სხვადასხვა სიტუაციების დასახასიათებლად, კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი მასალის მოძიება, თავისებურებების გაცნობიერება და გამოყენება;

ცოდნის შემდგომი გაფართოების მიზნით, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა.

ღირებულებები:

კურსდამთვრებულს ექნება უნარი:

	<p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერად განახორციელოს ჯანდაცვის მენეჯმენტი და დამოუკიდებლად შეაფასოს ჯანდაცვის სფეროს ღირებულებები. გაათვითცნობიეროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ფაქტორი და კონკურენტულ გარემოში იმოქმედოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების სამართლიანი ხერხებით. იყოს მუდმივად მომხმარებელზე ორიენტირებული. დაიცვას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ქცევის ეთიკური ნორმები, მორალური პრინციპები და წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში..</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრს, სწავლის პერიოდში შეძენილი უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს დასაქმდეს ეპიდემიოლოგის, ჯანდაცვის მკვლევარის, კონსულტანტისა ან სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე სახელმწიფო ან კერძო სექტორში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაზღვევო კომპანიებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ, რეგიონულ ან ცენტრალურ სტრუქტურებში, ჯანდაცვის დაწესებულებებში.</p> <p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აქტივობის არეს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები წარმოადგენს, რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე, აგრეთვე ის სტრუქტურები, სადაც ხდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავება („ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო“; „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“ საპარლამენტო კომისიები), საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ფოკუსირებული არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სარეაბილიტაციო ცენტრები.</p>
<p>სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე, როგორც ჯანდაცვის ადმინისტრირების, ისე საჯარო პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.</p>

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დეტალური ინფორმაცია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შესახებ მოცემულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყების წინ იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.</p> <p>სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p>
--	--

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია შესაბამისი სკოლის სამაგისტრო სწავლების დებულებაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- დისკუსია/დებატები.
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL).
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება.
- ევრისტიკული მეთოდი .
- შემთხვევის ანალიზი (Case study).
- გონებრივი იერიში (Brain storming).
- როლური და სიტუაციური თამაშები.
- დემონსტრირების მეთოდი.
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი.
- წერითი მუშაობის მეთოდი
- რეალურ გარემოში რეალურ ქეისებზე სწავლის მეთოდი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

მიუთითეთ:
პროფესორი 4

ასოცირებული პროფესორი 1
ასისტენტი 2
მოწვეული ლექტორი 10

პროგრამის სხვა რესურსები

სამთავრობო დაწესებულებები:

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურები:

სსიპ „დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი“

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო

აქტიურად თანამშრომლობს მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის ადმინისტრაციასთან. მათი წარმომადგენლები ჩართულნი არიან სკოლის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, სკოლის განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებასა და შეფასებაში.

არასამთავრობო დაწესებულებები და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის დაწესებულებები:

2012 წლის აპრილიდან დღემდე ჯანდაცვის სკოლის პარტნიორ ორგანიზაციათა რიცხვი იზრდება. ეს ორგანიზაციებია:

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი“

შპს „ფსიკიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

შპს „კლინიკა ნეოლაბი“

სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“

აღნიშნულ ორგანიზაციებთან უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის ხელშეწყობისთვის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (9954 ერთეული ბეჭდური ლიტერატურა). ბიბლიოთეკაში ასევე მოქმედებს: ელექტრონული კატალოგი OpenBiblio-<http://library.cu.edu.ge/opac/index.php> და ელექტრონული ბიბლიოთეკა <https://ebooks.cu.edu.ge/> რომელიც განკუთვნილია შიდა მოხმარებისთვის. ელექტრონული ბიბლიოთეკის დასათვალისწინებლად და ბიბლიოთეკაში არსებული მასალის ჩამოსატვირთად საჭიროა კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი.

ასევე ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა შემდეგ ქსელებთან:

EBSCO HOST

EBSCO HOST CONNECTION

World Higher Education Database WHED Portal

HEDBIB the International Bibliographic Database on Higher Education

„ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა Windows Server 2012- ზე იწყობა Domain Controller, DNS, DHCP, File Server, WDS, WSUS და სხვა სერვისები. Active Directory - ს საშუალებით იქმნება Domain და Domain User-ები, რაც გვამლევს საშუალებას ყველა მომხმარებელი და კომპიუტერი ვმართოთ ცენტრალიზებულად.

ძირითადი ტექნოლოგიური რესურსები:

Network: Fortinet Firewall (Fortigate 200D)

Cisco switch (2960L, C3650, 3750/3750G)

Cisco AP (AIR-AP1832I-E-K9)

Cisco Wireless controller (AIR-CT3504-K9)
Servers: HPE (Proliant DL360 G7, DL380 G7, DL380 G9)
Cisco (Business Edition 6000M Svr (M4)
All-In-One PC: HP Proone 400 G3
OS: Windows Server 2012 R2 Standard
Windows 10 Education

Firewall საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, ჰქონდეთ ინტერნეტთან წვდომა. ასევე VPN კლიენტის გამოყენებით იმუშაონ კომპანიის შიდა ქსელში. Firewall გვაძლევს საშუალებას გავფილტროთ ტრაფიკი. მისი მეშვეობით დაბლოკილია საფრთხის შემცველი ვებ საიტები და P2P კავშირები. დაკონფიგურირებულია Remote Access VPN, რაც ნიშნავს იმას, რომ საჭიროებისამებრ თანამშრომლებს შეეძლებათ სახლიდან უნივერსიტეტის შიდა ქსელში მუშაობა. Cisco SW: ყოველი მომხმარებელი იყენებს Switch-ის კონკრეტულ პორტს. მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მაქსიმალური გამტარუნარიანობა.

Cisco AP: ასხივებს მთელ შენობაში, მომხმარებლებს აძლევს საშუალებას, ინტერნეტთან წვდომა ჰქონდეთ შენობის ნებისმიერი წერტილიდან.

HPE Servers: მომხმარებლებს აქვთ საშუალება, გამოიყენონ შიდა ქსელში გაშვებული სერვისები, როგორებიცაა AD, Moodle და ასე შემდეგ.

Cisco Server გამოიყენება IP ტელეფონის სერვისებისთვის.

Eduroam: საერთაშორისო სერვისი, გამოიყენება საგანმანათლებლო დაწესებულებებში Wifi-ზე დასაკავშირებლად მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.

უნივერსიტეტს გააჩნია 8 კომპიუტერული აუდიტორია. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია 24 კომპიუტერი. უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება 250 კომპიუტერი.

უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები, რომლითაც უზრუნველყოფილია მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობა, ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა.

ასევე უნივერსიტეტს გააჩნია

პროექტორი: 70

პრინტერი: 100

საგამოცდო ცენტრის ასლგადამღები მანქანა: 2 ცალი შავ-თეთრი, 1 ცალი ფერადი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის მდგრადობაზე და მუდმივ განვითარებაზე. ბიუჯეტში გაწერილია როგორც აკადემიური პერსონალის, სკოლის ადმინისტრაციის სხვა დამატებითი ხარჯები, ასევე პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ხარჯებიც. ასევე გათვალისწინებული ხარჯებისთვის პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა(საერთო თანხის 10 პროცენტი). პროგრამის მდგრადობისთვის ასევე უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან არის გამოყოფილი ფინანსები.

პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლის წელი		ECTS კრედიტი		
				I	II			
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	ECTS კრედიტი
							დარგობრივი სავალდებულო საგნები	
1.	HCM 5281		ჯანდაცვის სისტემებისა და დაფინანსების პოლიტიკა	6				
2.	PH 5283		სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა			6		
3.	HCM 5183		ჯანდაცვის ეკონომიკა	6				
4.	PH 5381		ჯანდაცვის კანონმდებლობა და ბიოეთიკა			6		
5.	PH 5281		გადამდები და არაგადამდები დაავადებების მართვა			6		
6.	PH 5282		დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა		6			
7.	PH 5382		ფსიქიკური ჯანმრთელობა			6		
8.	HCM 5285		გამოყენებითი ბიოსტატისტიკა	6				
9.	PH 5182		ეპიდემიოლოგია		6			
10.			ხარისხობრივი კვლევის მეთოდები	5				
11.		HCM 5285	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები		5			
			დარგობრივი არჩევითი საგნები		10	10		20
1.	HCM 5185		ჯანდაცვის მარკეტინგი	5				

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლის წელი				ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
2.	HCM 5283		ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5				
3.	PH 5383		ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა		5			
4	PH 5481		ხარისხი და პაციენტის უსაფრთხოება	5				
5	HCM 5181		ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია		5			
6	PH 5384		სოციალური ფსიქოლოგია		5			
7	PH 5385		შრომის ჯანმრთელობა		5			
8	HCM 5385		პროექტის დაგეგმვა და მართვა	5				
9	PH 5386		ძალადობისა და ტრავმატიზმის შემცირება	5				
10	HCM 5387		აკადემიური წერა	5				
11	PH 5284		მართული ჯანდაცვა		5			
			პრაქტიკული კომპონენტი:					6
1			პროფესიული პრაქტიკა			6		
			სამეცნიერო კვლევის კომპონენტი:				30	30
1	THES 5481		სამაგისტრო ნაშრომი				30	
ECTS კრედიტები				33	27	30	30	120
			წელიწადში	60		60		
			საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში					

პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№ საგანი	ECTS კრედიტი\სთ	საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები
		ლექცია	სემინარი	პრაქტიკული	დასკვნითი/შუალედური გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
ჯანდაცვის სისტემებისა და დაფინანსების პოლიტიკა	6	12	12		4	2	120
სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა	6	12	12		4	2	120
ჯანდაცვის ეკონომიკა	6	12	12		4	2	120
ჯანდაცვის კანონმდებლობა და ბიოეთიკა	6	12	12		4	2	120
გადამდები და არაგადამდები დაავადებების მართვა	6	12	12		4	2	120
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	6	12	12		4	2	120
ფსიქიკური ჯანმრთელობა	6	12	12		4	2	120
გამოყენებითი ბიოსტატისტიკა	6	12		12	4	2	120
ეპიდემიოლოგია	6	12	12		4	2	120
ჯანდაცვის მარკეტინგი	5	9	9		4	2	101
ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5	9	9		4	2	101
ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა	5	9	9		4	2	101
ხარისხი და პაციენტის უსაფრთხოება	5	9	9		4	2	101
ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია	5	10	10		4		101
სოციალური ფსიქოლოგია	5	9	9		4	2	101
შრომის ჯანმრთელობა	5	9	9		4	2	101
პროექტის დაგეგმვა და მართვა	5	10	10		4		101
ძალადობისა და ტრავმატიზმის შემცირება	5	9	9		4	2	101
მართული ჯანდაცვა	5	9	9		4	2	101
აკადემიური წერა	5	9		9	4	2	101
პროფესიული პრაქტიკა	6		28	36		2	84
ხარისხობრივი კვლევის მეთოდები	5	9		9	4	2	101
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	5	9		9	4	2	101
სამაგისტრო ნაშრომი	30						

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	ჯანდაცვის სისტემებისა და დაფინანსების პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
	სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა	X	X	X	X	X	X
	ჯანდაცვის ეკონომიკა	X	X	X	X	X	X
	ჯანდაცვის კანონმდებლობა და ბიოეთიკა	X	X	X	X	X	X
	გადამდები და არაგადამდები დაავადებების მართვა	X	X	X		X	
	დედათა და ბავშვთაა ჯანმრთელობა	X	X	X	X	X	X
	ფსიქიკური ჯანმრთელობა	X	X	X	X	X	X
	გამოყენებითი ბიოსტატისტიკა	X	X	X	X		X
	ეპიდემიოლოგია	X	X		X	X	X
	ჯანდაცვის მარკეტინგი	X	X	X	X	X	X
	ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
	ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა	X	X		X		
	ხარისხი და პაციენტის უსაფრთხოება	X	X	X	X	X	X
	ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	X	X	X	X		X
	სოციალური ფსიქოლოგია	X	X	X	X	X	X
	შრომის ჯანმრთელობა	X	X	X	X	X	X
	პროექტის დაგეგმვა და მართვა	X	X	X		X	X
	ძალადობა და ტრავმატიზმის შემცირება	X	X	X	X	X	
	მართული ჯანდაცვა		X	X	X	X	
	აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
	ხარისხობრივი კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
	პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X		X

საგანმანათლებლო პროგრამის
პროფესორ-მასწავლებელთა რესურს-ბაზა

№	სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი
1	თეა გიორგაძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვის სისტემებისა და დაფინანსების პოლიტიკა • გადამდები და არგადამდები დაავადებების მართვა • ძალადობისა და ტრავმატიზმის შემცირება
2	მაია გონაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვის ეკონომიკა • ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
3	აზა ჭანტურია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • რაოდენობრივი კვლევის მეთოდები
4	მზია თედიაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • სოციალური ფსიქოლოგია
5	ლელა აბდუშელიშვილი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია • ხარისხობრივი კვლევის მეთოდები
6	ქეთევან ინჭკირველი	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> • აკადემიური წერა
7	ვახტანგ სურგულაძე	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული პრაქტიკა
8	ნატა ყაზახაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვის კანონმდებლობა და ბიოეთიკა • დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა • ხარისხი და პაციენტის უსაფრთხოება
9	ნინო ოკრიბელაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ფსიქიკური ჯანმრთელობა
10	ლია მდინარაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • გამოყენებითი ბიოსტატისტიკა
11	გიორგი ჩახუნაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ეპიდემიოლოგია
12	სოფიო ხაყოშია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა
13	დევი ტაბიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა
14	ქეთევან ხაზარაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • შრომის ჯანმრთელობა
15	თამარ ლომინაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • პროექტის დაგეგმვა და მართვა

16	რუსუდან დალაქიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none">• ჯანდაცვის მარკეტინგი
17	ლაშა ლორია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none">• მართული ჯანდაცვა